MES 6 22 0000135981

11/02/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისს აბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 28.01.2022
სხდომი სდაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
6. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
8. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

9. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
10. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
11. ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.
12. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;
13. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
14. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
15. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	მანანა ცერცვაძე	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
2.	ლელა აფციაური	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
3.	ომარ არდაშელია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი - პროფესორი	III
4.	ლია ახალაძე	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოც. პროფესორი	III

5.	რომეო გალდავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ასოცირებული პროფესორი	III
6.	ირმა დიხამინჯია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსუ ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი - ასოცირებული პროფესორი	III
7.	კახი კოპალიანი	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსუ ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - პროფესორი.	III
8.	მანანა ორჯონიკიძე	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
9.	მარიკა შავლაყაძე	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი	IV
10.	ნიკა დუდაშვილი	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	იურიდიული სამსახურის უფროსი	IV
11.	ნათია ქაჯაია	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	IV
12.	მარიამ დარბაიძე	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორის მრჩეველი	IV
13.	დავით თარხნიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	V
14.	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
15.	არჩილ მაღალაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	V
16.	ზურაბ ჯავახიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	V
17.	მიხეილ ელაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	V

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი		საკითხი

		ინფორმაციაელექტრონული საშუალებითმონაწილეობის შესახებ	
1	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
3	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	ეკა დარბაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	სალომე ალანია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	ანა მჭედლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ნატო ალავიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	შალვა ლეკეპტრიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 სთ-ზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.12.2019 გადაწყვეტილება N238
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0915 - თერაპია და რეაბილიტაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მეფე სოლომონ II - ის ქუჩა №4 (ყოფილი კრწანისის ქუჩა №3) თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცლება განაცხადა- მარიამ შენგელიამ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შპს უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა ცენტრში 2021 წლის 27 ოქტომბრის წერილით შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედი“-ს. პროგრამისშეფასებაგანხორციელდადაწესებულებაშივიზიტისგარეშე, დაწესებულებისმიერწარმოდგენილიპროგრამის (კურიკულუმისდაპროგრამისკომპონენტებისსილაბუსების) შესწავლით. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის (კურიკულუმის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების) შესწავლით. შეფასება განხორციელდა სტანდარტების იმ კომპონენტებთან (1.2; 2.1. 2.3; 2.6) მიმართებაში, რომლებთანაც დაკავშირებით იყო გაცემული რეკომენდაციები.
პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზ-რუნველყოფს ამ შედეგის გაზომვას და უკანასკნელის დადასტურების შესაძლებლობას;

2. მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით;
3. დაკორექტირდეს კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში „პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის“ განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად;
4. სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეირჩეს კურსის სპეციფიკის მაქსიმალურადგათვალისწინებით, ისე, რომ მოხდეს სწავლის შედეგების დადასტურება და გაზომვა;
5. რეკომენდირებულია OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვასთან კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის და ჩექლისტების წარმოდგენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კორექციის შედეგად პროგრამის შედეგების ფორმირებაში ყველა მონაწილე სასწავლო კურსის სწავლის შედეგები გაზომავდი და რეალისტურია. გამოირიცხა პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა შედეგს გაზომვასა და ამ უკანასკნელის დადასტურების შესაძლებლობას.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, აღნიშნული სრულად იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ, კერძოდ დაკორექტირდა მითითებული სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში.
დაწესებულებამ ასევე გაიზიარა მე-3 რეკომენდაცია და შესაბამისად გამოსწორდა მითითებულ სილაბუსებში სწავლის შედეგებში არსებული შეუსაბამობები. ინსტიტუციამ ასევე სრულად გაიზიარა მე-4 რეკომენდაცია.
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, ვინაიდან ექსპერტებისგან არ იყო მოთხოვნა, არ იქნა წარდგენილი სილაბუსებზე თანდართული OSCE-ს ჩექლისტები და შეფასების ფურცლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დააზუსტა თუ რამდენად არის აღჭურვილი ინსტიტუცია პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია სრულად არის აღჭურვილი ლაბორატორიული რესურსით, რაც ეხება სამედიცინო ქიმიას, ბიოქიმიასა და ანატომიას. დაწესებულებას ასევე აქვს კარგად აღჭურვილი მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაც, სადაც ტარდება ბიოლოგიის პრაქტიკული კურსები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:25
დასრულების დრო: 15:42

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.2, 2.3 კომპონენტებში განსაზღვრული რეკომენდაციები გადავიდა რჩევების ნაწილში, შედეგად პირველი და მეორე სტანდარტები შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები

რეკომენდაციები:

1. სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეირჩეს კურსის სპეციფიკის მაქსიმალურადგათვალისწინებით, ისე, რომ მოხდეს სწავლის შედეგების დადასტურება და გაზომვა;
2. რეკომენდირებულია OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვასთან კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის და ჩექლისტების წარმოდგენა.

რჩევები:

- გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვას და უკანასკნელის დადასტურების შესაძლებლობას;
- მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით;
- დაკორექტირდეს კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში „პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის“ განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად;
- სასურველია დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში კურსის სტატუსის ფორმულირება „სპეციალობის საბაზისო სავალდებულო“;
- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსების გაუმჯობესება ენობრივი სისწორის თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეორე საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.12.2019 გადაწყვეტილება N239
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0915 - თერაპია და რეაბილიტაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მეფე სოლომონ II - ის ქუჩა №4 (ყოფილი კრწანისის ქუჩა №3) თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცლება განაცხადა - მარიამ შენგელიამ.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შპს უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა ცენტრში 2021 წლის 27 ოქტომბრის წერილით შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედი“-ს .
პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის (კურიკულუმის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების) შესწავლით.
შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის, განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობისა და ფორმულირების ენობრივი სისწორის ჭრილში;
2. გადაიხედოს პროგრამის კომპონენტის „პრაქტიკა სპეციალობაში“ სილაბუსში მითითებული სწავლის შედეგები განათლების საფეხურის გათვალისწინებით, მათი გაზომვადობის, განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობის და შედეგის ფორმულირების ენობრივი სისწორის ჭრილში;
3. რეკომენდირებულია OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვასთან კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის და ჩექლისტების წარმოდგენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კორექციის შედეგად პროგრამის შედეგების ფორმირებაში ყველა მონაწილე სასწავლო კურსის სწავლის შედეგები გაზომავდი და რეალისტურია. დაწესებულების მიერ ასევე სრულიად იქნა გაზიარებული მე-2 რეკომენდაცია.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, ვინაიდან ექსპერტებისგან არ იყო მოთხოვნა, არ იქნა წარდგენილი სილაბუსებზე თანდართული OSCE-ს ჩექლისტები და შეფასების ფურცლები

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ რა ტიპის სამაგისტრო ნაშრომების მომზადება ხდება პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მაგისტრატურის ფარგლებში კეთდება კვლევითი სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც ეხება ძირითადად ტრავმებს, პათოლოგიებს, მათ რეაბილიტაციას და რა თქმა უნდა ნაშრომებში გათვალისწინებულია ასევე კვლევებში მონაწილეობის ვალდებულება. მაგისტრანტები მუშაობენ სხვადასხვა ადგილას და სწორედ იქ ეძლევათ კვლევის განხორციელების შესაძლებლობაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:15

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.3 და 2.4 კომპონენტებში განსაზღვრული რეკომენდაციები გადავიდა რჩევების ნაწილში, მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია და რჩევები

რეკომენდაცია:

1. რეკომენდირებულია OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვასთან კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის და ჩექლისტების წარმოდგენა.

რჩევები:

- გადაიხედოს პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის, განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობისა და ფორმულირების ენობრივი სისწორის ჭრილში;
- გადაიხედოს პროგრამის კომპონენტის „პრაქტიკა სპეციალობაში" სილაბუსში მითითებული სწავლის შედეგები განათლების საფეხურის გათვალისწინებით, მათი გაზომვადობის, განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობის და შედეგის ფორმულირების ენობრივი სისწორის ჭრილში;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მესამე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.11.2012 გადაწყვეტილება N 736
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N61 , თბილისი, 0186, საქართველო პირველი სასწავლო კორპუსი.

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - მაკა კაჭარავამ.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) დისტანციური ფორმატის ვიზიტი (zoom პლატფორმის მეშვეობით) სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა 2021 წლის 22 ნოემბერს, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, ასევე, დამსაქმებლებს.
ასევე, დისტანციურად განხორციელდა პროგრამასთან მიმართებით არსებული უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა და სხვ.) დათვალიერება. ვიზიტი მიმდინარეობდა 10:00-დან 18:30 საათამდე. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ვიზიტი წარიმართა ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე, კონსტრუქციულ გარემოში, რამაც უზრუნველყო ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო პროცესი. ვიზიტის დასრულებამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ინფორმაცია, ჯგუფის თავმჯდომარემ კი უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომინდირებულია, პროგრამის მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბება, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს რა უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ისახავს მიზნად პროგრამა.
2. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების ისე ჩამოყალიბება, რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ისწავლებოდეს არა პირველი კურსის პირველ სემესტრში, არამედ მომდევნო სემესტრებში და მას წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსები: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „საერთაშორისო ურთიერთობები ახალ დროში“, „საერთაშორისო ურთიერთობები XX-XXI სს. დასაწყისში“.
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსს „საერთაშორისო ურთიერთობები ახალ დროში“ წინაპირობად, ასევე, განესაზღვროს სასწავლო კურსი „დიპლომატიის ისტორია უძველესი დროდან XVII საუკუნის ჩათვლით“.
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „ევროპული დემოკრატიები“ სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილიდან არჩევით ნაწილში გადავიდეს.
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „დიპლომატიური სამსახურის საფუძვლები“ არჩევითი ნაწილიდან გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში.
7. რეკომენდებულია „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების“ სასწავლო კურს განესაზღვროს წინაპირობა.
8. რეკომენდებულია სასწავლო კურსებს: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „სტატისტიკა“, „სოციოლოგიური თეორიები და გლობალიზაციის ეპოქა“, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ და „პროფესიულ პრაქტიკას“, მათი მიზნების, თემატიკის, სწავლის შედეგების და ლიტერტაურის მოცულობიდან გამომდინარე გაეზარდოთ კრედიტების მოცულობა.
9. რეკომენდებულია ბაკალავრიატის საფეხურისათვის შესაბამისი ლიტერატურის მითითება შემდეგ სასწავლო კურსებში: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „საერთაშორისო სისტემები“, „კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები“, „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“.
10. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, „საერთაშორისო სისტემები“, „სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის გეოპოლიტიკა“, „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა“ აღმოიფხვრას გადაფარვები ძირითად ლიტერატურაში.
11. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „პოლიტიკის ძირითადი ცნებები“, „საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა“, „შედარებითი პოლიტიკა“, „საქართველოს სახელმწიფოს ისტორია“, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები“, სწავლის შედეგების რე ფორმულირება, რომ იყოს მკაფიო და გაზომავდი.
12. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ დაზუსტდეს შუალედური შეფასების ნაწილში „აქტიურობის“ შეფასების 10 ქულის წილობრივი მოცულობები კვირების მიხედვით.

13. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ დარგობრივ ჭრილში შესაბამისი თემატური ნაშრომის მომზადება და არა რეფერატის, როგორც ეს სილაბურში წარმოდგენილი. ასევე, მისი შეფასების ინდიკატორი „პრობლემის კრიტიკული ანალიზისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლენა“ უნდა იყოს ფორმულირებული ბაკალავრიატის დონის შესაბამისად.
14. რეკომენდირებულია სასწავლო კურს „პოლიტიკის ძირითადი ცნებები“, მისი მიზნების, თემატიკის და სწავლის შედეგების შესაბამისად, შეეცვალოს დასახელება და მოვიდეს შესაბამისობას კურსის მიზნებთან, თემატიკასთან და შედეგებთან.
15. დარგის და შრომის ბაზრის საჭიროებების ფართო სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პრაქტიკული, წერითი და ვერბალური უნარების ჩამოყალიბება და გაძლიერება სწავლებაში თანამედროვე მეთოდების ინტეგრირებისა და გამოყენების გზით.
16. რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებთან გაიწეროს შესაბამისი შეფასების ქულები.
17. რეკომენდებულია სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს არა ერთიანად შედეგთა ჯგუფებისთვის („ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები“, „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“), არამედ თითოეული კონკრეტული შედეგისთვის. ასევე, თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგინდეს შეფასების რომელი მეთოდით (გამოკითხვა, პროექტი, ესე და/ან სხვ.) მოხდება ამ შედეგის მიღწევების შეფასება და დადასტურება.
18. რეკომენდებულია ამოქმედდეს უცხოელი ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასების მექანიზმი, რომელიც თავად დაწესებულებამ დაადგინა დოკუმენტში „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“.
19. რეკომენდებულია მოხდეს ჩატარებული პროგრამის შეფასების შედეგების დოკუმენტირება, რათა პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით იყოს შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარდება, მიღწეული პროგრესიის დადგენა და სხვ.
20. რეკომენდებულია თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარდება უცხოური უდს-ების ანალოგიურ პროგრამებთან. დადარებიშედები უნდა იძლეოდეს ინფორმაციას პროგრამის განვითარებისთვის გაზიარებული მიდგომების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დარგი ეფუძნება თეორიული ცოდნის განვითარებას პროფესიულ - უნარ ჩვევებში. შესაბამისად, მისი თქმით, პროგრამის მიზნებში წარმოდგენილია თეორიული ცოდნის მიღების აუცილებლობაც და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებაც, პროგრამის მიზნებში თანაბარი ყურადღება ეთმობა როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პროფესიული უნარ-ჩვევებისთვის აუცილებელ მისაღწევ აქცენტებს. კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს თეორიული ცოდნის ტრანსფერი პროფესიულ საქმიანობაში, შეძლოს საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე პოლიტიკური და ისტორიული პროცესების გააზრება, საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემების ანალიზი, საერთაშორისო აქტორთა და მათ შორის საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესების განსაზღვრის უნარები.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შედეგები გაწერილია თითოეული სილაბუსის მიზნებისა და სწავლის შედეგების საფუძველზე, გაწერილია ბლუმის ტაქსონომიის ზმნებით კონკრეტული ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობებისა და ავტონომიურობისთვის აუცილებელი კომპონენტებით, რაც ამარტივებს სწავლის შედეგების გაზომვას. სწავლის შედეგებში სპეციალურად ყურადღება

გამახვილებულია ბლუმის ტაქსონომიის ზმნებზე, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ აზროვნების დონეებზე და მისაღწევ შედეგებზე.
მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტებს იმ ნაწილში, რომ „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას“ წინაპირობად უნდა ჰქონდეს „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ და ამ რეკომენდაციას აუცილებლად გაითვალისწინებენ. რაც შეეხება რეკომენდაციის იმ ნაწილს, რომელშიც საუბარია „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების“ სასწავლო კურსის წინაპირობად ორი სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობები ახალ დროში“ და საერთაშორისო ურთიერთობები XX-XXI სს. დასაწყისში“ განსაზღვრას, აქ აუცილებელია გავითვალისწინოთ რომ სტუდენტს ჯერ თეორიულ საფუძვლებს უქმნის პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობებში და შემდეგ ეტაპობრივად ემატება მის ცოდნას მომდევნო სემესტრებში იმ მასალის დამატებით, რომელიც ზემოთხსენებულ ორ სასწავლო პროგრამაშია წარმოდგენილი. ცოდნის აგების ეს პრინციპი, გაცილებით ეფექტური უნდა იყოს არსებული საერთაშორისო თეორიების საფუძველზე.
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, კურიკულუმის განვითარებისა და თვითშეფასების ჯგუფის სხდომებზე ჰქონდათ ამ საკითხზე მსჯელობა და დისკუსია, თუმცა ბოლოს არჩევანი სავალდებულო სასწავლო კურსად დატოვებაზე შეჩერდა. სასწავლო კურსი გადატანილ იქნება არჩევით სასწავლო კურსებში.
მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება რეკომენდაციას ნაწილობრივ ეთანხმება, კერძოდ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში კრედიტების გაანგარიშების წესიდან გამომდინარე 3 კრედიტი მოიცავს 75 საათს, აქედან 35 საათი ეთმობა სალექციო - სასემინარო დროს და შეფასებას, ხოლო 40 საათი სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, ზემოთხსენებულ სასწავლო კურსებისთვის ეს საკმარისი უნდა იყოს, გარდა „პროფესიული პრაქტიკისა“ . აქედან გამომდინარე, დაწესებულება მზადაა, რომ „პროფესიული პრაქტიკის“ მოცულობა გაიზარდოს 6 კრედიტამდე.
რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, აღნიშნულ სასწავლო კურსებში მართალია მეორდება ცალკეული გამოცემები, მაგრამ კონკრეტული წიგნიდან ერთი თავი ისწავლება ერთ კონკრეტულ საგანში, ხოლო მეორე საკითხი ეხება მეორე სასწავლო კურსის თემატიკას, ამიტომ კონკრეტულ სილაბუსში კონკრეტული თემებია გამოყენებული: მაგალითად, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შეიძლება დავასახელოთ ბრუს ჯენტლესონის წიგნი „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, რომელიც საკმაოდ სქელტანიანი გამოცემაა და მასში საერთაშორისო ურთიერთობების მრავალი მიმართულება არის წარმოდგენილი, ამიტომ ამ წიგნის მითითებას, სხვადასხვა საკითხებით რამდენიმე სილაბუსში შეიძლება შევხვდეთ. ფაქტობრივად, ერთი და იმავე თემატიკის და ერთი და იმავე შინაარსობრივი მასალით გადაფარვა სილაბუსებში არ ხდება. უბრალოდ, ერთი და იგივე წიგნში განხილული სხვადასხვა მასალა არის წარმოდგენილი სილაბუსებში.
მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსებში, ისევე როგორც პროგრამის სწავლის შედეგებშიც გამოყენებულია ბლუმის ტაქსონომიის ზმნები, რაც საშუალებას იძლევა სწორად და მკაფიოდ გაიზომოს სწავლის შედეგები. თუმცა, ცალკეულ კურსებში დაზუსტდება მიღწევადი სწავლის შედეგები: მაგ. „პოლიტიკის ძირითად ცნებები“, „საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა“, „შედარებითი პოლიტიკა“.
რაც შეეხება მე-19 რეკომენდაციას, სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილი იყო „სწავლის შედეგების შეფასების შედეგები“, რომელიც სავარაუდოდ ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოიძებნა. ვიზიტის პროცესში აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნის შემთხვევაში უნივერსიტეტი მზად იყო მოეწოდებინა შესაბამისი დოკუმენტი. მიუხედავად ამისა უნივერსიტეტი გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას.
მე-20 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს მასალებში წარმოდგენილი აქვს მსგავსი დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მოკლე შედარებითი ანალიზი და გაზიარებული მიდგომები. მან აღნიშნა რომ ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე მომავალში უფრო გააფართოვებენ უცხოურ ანალოგიებიდან მსგავსი მიდგომების გამოყენებას პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ მიუთითა ,,საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების" სასწავლო კურსზე და განმარტა, რომ აღნიშნული საგნის წინაპირობის გარეშე სწავლება გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, უმჯობესი იქნება ამ ერთი სასწავლო კურსისთვის წინაპირობის განსაზღვრა.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებული და გაზომვადია. შესაბამისად მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ, თუ რა კუთხით საჭიროებს აღნიშნული დახვეწას და არის თუ არა შედეგები და მიზნები არსებითად შესაცვლელი. გარდა ამისა საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რამდენად რელევანტურია პროგრამის სტრუქტურის ცვლილება და მოუწოდა ექსპერტებს საკითხის დაზუსტებისკენ. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა მე-10 რეკომენდაცია და დააზუსტა აღნიშნული სასწავლო კურსების თემატიკაც იფარება, თუ რამდენიმე სასწავლო კურსში ხდება კონკრეტული ლიტერატურის გამოყენება. რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო იყოს მცირდი ცვლილება და არა სრულიად რეფორმულირება, შესაბამისად საბჭოს წევრმა ექსპერტებთან დააზუსტა აღნიშნული საკითხიც.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა გამოყო ასევე მე-13 რეკომენდაცია, სადაც შეთავაზებულია არა რეფერატის, არამედ თემატური ნაშრომის შესრულება, შესაბამისად, დააზუსტა თუ რა განსხვავებას ხედავენ ექსპერტები მოცემულ შემთხვევაში. აღსანიშნავია ასევე მე-15 რეკომენდაცია, კერძოდ პროგრამა თავისთავად მოიაზრებს პრაქტიკულ ნაწილს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია დადგინდეს თუ რა გახდა მოცემული რეკომენდაციის განსაზღვრის საფუძველი.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ პოზიცია მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სწავლის მიზნებთან და შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიზანი ძირითადად ასახავს, თუ რა ცოდნის მიცემაზეა ორიენტირებული პროგრამა, თუმცა პროგრამის მიზნებში, მიუხედავად იმისა რომ პროგრამის სწავლის შედეგებში და სასწავლო კურსების სილაბუსებშიც ნათლად ჩანს თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ემსა-ხუ-რება პროგრამა, არ არის აღნიშნული დარგობრივი მიმართულებით რა უნა-რებისა და კომ-პე-ტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა ის მიმართული. პროგრამის ექვსი მიზნიდან მხოლოდ მე-4 მიზანში ჩანს დარგობრივი ასპექტები, რაც ვერ ასახავს დარგის შინაარსობრივ მახასიათებლებს, კერძოდ, პროგრამის მიზანია: ,,საერთასორისო ურთიერთობებში მიმდინარე პოლიტიკური და ისტორიული პროცესების გააზრების, საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების ანალიზის, საერთაშორისო ურთიერთობებში აქტორთა, მათ შორის ევროპის სახელმწიფოების, ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესების განსაზღვრის პრო-ფესიული უნარ-ჩვევები. ამ მიზნითაც ჩანს, რომ ერთადერთი დარგობრივი მახასიათებელი არის ,,საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების ანალიზის უნარ-ჩვევეა", დანარჩენი ამ კონტექსტშიც ცოდნა-გაცნობიერების ნაწილია მოცემული. აქედან გამომდინარე ,პროგრამის მიზნები სუსტად ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

რაც შეეხება შედეგებს, პროგრამისთვის განისაზღვრა ათი შედეგი, რომლებიც, ძირითადად თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან, მხოლოდ ცოდნა-გაცნობიერების და ტრანსფერული უნარების ნაწილში, ხოლო დარგობრივი უნარების ნაწილში - მეტწილად. პროგრამის სწავლის შედეგები, მეტწილად პასუხობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს და ასახავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სასწავლო კურსში „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობები“ - დაზუს-ტებას მოითხოვს შუალედური შეფასების ნაწილში არსებული „აქტიურობის“ შეფასების 10 ქულის კვირის მიხედვით დაზუსტება. ასევე, მოცემულ სასწავლო კურსში რეკომენდებული დარგობრივ ჭრილში შესაბამისი თემატური ნაშრომის მომზადება და არა რეფერატის, როგორც ეს სილაბუსშია წარმოდგენილი. ამავე დროს, მისი შეფასების ინდიკატორი ,,პრობლემის კრიტიკული ანალიზისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლენა“ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისად.
რაც შეეხება მე-15 რეკომენდაციას, როგორც ინტერვიუირებამ აჩვენა, დაწესებულების ადმინისტრაცია სტუდენტებში ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის ნაკლებად ახორციელებს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობებს, მათ შორის, საჯარო ლექციები, დისკუსია/დებატები, სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები და სხვ. პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში პროგრამის ფარგლებში ნაკლებად ხდება ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში სტუდენტურ კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება და მხარდაჭერა, მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების თუ სხვა საშუალებით, სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება. გამოკითხვების და ასევე ვიზიტის ფარგლებში, გამოიკვეთა, თეორიული და პრაქტიკული უნარების სინთეზის, წერითი, ვერბალური და პრაქტიკული უნარების გაძლიერების საჭიროება. როგორც ინტერვიუებით დასტურდება, კურსდამთავრებულთა უმეტესობა პროფესიით არ არის დასაქმებული ან ჯერ არ ყოფილა დასაქმებული.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა უცხოელ ექსპერტთა შეფასებაზე, კერძოდ უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „სწავლების ხარისხის განვითარების შე-საძ-ლებ-ლობების შეფასების მექანიზმები“-ის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად ერთ-ერთ ინდიკატორად მიიჩნევა პროგრამის „გარე შეფასება“ უც-ხო-ლი ექსპერტების მიერ. მეტი სიცხადისთვის დაწესებულებას ეთხოვა ამ შეფასების ამსახველი დოუმენტ(ებ)ის წარდგენა, თუმცა ინფორმაცია ექსპერტებისთვის მიწოდებული არ იყო, შესაბამისად ვერ დასტურდება ამ მექანიზმის გამოყენების ფაქტი. დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პასუხის თანახმად, დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია გაზიარებულია. ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტო-ვებს როგორც სტანდარტის ამ კომპონენტის შეფასებას, ისე რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ,,საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების შესავალ ნაწილში გათვალისწინებულია საერთაშორისო ეკონომიკური საკითხები, შესაბამისად კურსის შესწავლის დროს სტუდენტებს აქვს გარკვეული ცოდნა თემატიკასთან დაკავშირებით.
რაც შეეხება დარგობრივ მახასიათებლებს, დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად ჩართავს მას პროგრამაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 16:23

დასრულებისდრო: 17:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.1 და 1.2 კომპონენტებში ასახული რეკომენდაციები გადავიდა რჩევების ნაწილში, შედეგად ეს კომპონენტები შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შესაბამისად შეიცვალა პირველი სტანდარტის შეფასება და ის ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 2.3 კომპონენტში ასახული პირველი და მესამე რეკომენდაციები გადავიდა რჩევების ნაწილში, ამოღებულ იქნა 2.4 კომპონენტში ასახული რეკომენდაცია, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 2.6 კომპონენტში ასახული რეკომენდაცია გადავიდა რჩევების ნაწილში, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა არ შეცვლილა მეორე სტანდარტის შეფასება და ის ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 5.1 კომპონენტში გაწერილი რეკომენდაცია გადავიდა რჩევების ნაწილში, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა არ შეცვლილა მე-5 სტანდარტის შეფასება და ის ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".
საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია", თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ისწავლებოდეს არა პირველი კურსის პირველ სემესტრში, არამედ მომდევნო სემესტრებში და მას წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსები: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი", „საერთაშორისო ურთიერთობები ახალ დროში", „საერთაშორისო ურთიერთობები XX-XXI სს. დასაწყისში";
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსს „საერთაშორისო ურთიერთობები ახალ დროში" წინაპირობად, ასევე, განესაზღვროს სასწავლო კურსი „დიპლომატიის ისტორია უძველესი დროდან XVII საუკუნის ჩათვლით";
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „ევროპული დემოკრატიები" სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილიდან არჩევით ნაწილში გადავიდეს;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „დიპლომატიური სამსახურის საფუძვლები" არჩევი-თი ნაწილიდან გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში;
5. რეკომენდებულია „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების" სასწავლო კურს განესაზღვროს წინაპირობა;
6. რეკომენდებულია ბაკალავრიატის საფეხურისათვის შესაბამისი ლიტერატურის მითითება შემდეგ სასწავლო კურსებში: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი", „საერთაშორისო სისტემები", „კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები", „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში";
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „საერთაშორისო ურთიერთობებების შესავა¬ლი", „პოლიტიკის ძირითადი ცნებები", „საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა", „შედარებითი პოლიტიკა", „საქართველოს სახელმწიფოს ისტორია", „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები", სწავლის შედეგების რეფორმულირება, რომ იყოს მკაფიო;
8. რეკომენდირებულია სასწავლო კურს „პოლიტიკის ძირითადი ცნებები", მისი მიზნების, თემატიკის და სწავლის შედეგების შესაბამისად, შეეცვალოს დასახელება და მოვიდეს შესაბამისობასი კურსის მიზნებთან, თემატიკასთან და შედეგებთან;
9. რეკომენდებულია სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს არა ერთიანად შედეგთა ჯგუფებისთვის („ცოდნა და გაცნობიერება", „უნარები", „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა"), არამედ თითოეული კონკრეტული შედეგისთვის. ასევე, თითოეული

სწავლის შედეგისთვის დადგინდეს შეფასების რომელი მეთოდით (გამოკითხვა, პროექტი, ესსე და/ან სხვ.) მოხდება ამ შედეგის მიღწების შეფასება და დადასტურება;

10. რეკომენდებულია თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით პერიოდულად მოხდეს პროგ-რამის დადარება უცხოური უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან. დადარების შედეგები უნდა იძლეოდეს ინფორმაციას პროგრამის განვითარებისთვის გაზიარებული მიდგომების შესახებ.

რჩევები:

- სასურველია პროგრამის მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბება, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს რა უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ისახავს მიზნად პროგორამა;
- სასურველია შრომის ბაზრის სრულყოფილი და უფრო სიღრმისეული კვლევა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით, დარგობრივი საჭიროებების ჭრილში;
- სასურველია შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზის განხორციელების მექანიზმის დახვეწა და მისი პრაქტიკაში განხორციელება შესაბამის პირის/ორგანოს მიერ;
- მიზანშწონილია პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის ყველა კატეგორიის დამსაქმებელთა და პოტენციურ დამსაქმებელთა ფართო სპექტრის ჩართულობა და მათთან რეგულარული კომუნიკაცია (მაგ., ფოკუს ჯგუფის ან მრგვალი მაგიდის ფორმატში) რეალური საჭიროებებისა და მოთხოვნები ინდეტიფიცირების მიზნით;
- სასურველია სწავლის შედეგების ისე ჩამოყალიბება, რომ იყოს მკაფიო;
- სასურველია ჩანაწერი პროგრამის წინაპირობის შესახებ გასწორდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ოქტომბრის N92/ნ ბრძანების N3 დანართის მიხედვით (საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამისთვის სავალდებულო საგნებად განისაზღვრა მათემატიკა/ისტორია/სამოქალაქო განათლება/გეოგრაფია);
- სასურველია სასწავლო კურსებს: „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „სტატისტიკა“, „სოციოლოგიური თეორიები და გლობალიზაციის ეპოქა“, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ და „პროფესიულ პრაქტიკას“, მათი მიზნების, თემატიკის, სწავლის შედეგების და ლიტერტაურის მოცულობიდან გამომდინარე გაეზარ¬დოთ კრედიტების მოცულობა 5 კრედიტამდე;
- სასურველია სასწავლო კურსებში „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, „საერთაშორისო სისტემები“, „სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის გეოპოლიტიკა“, „ახლო აღმოსავლეტის პოლიტიკა“ აღმოიფხვრას გადაფარვები ძირითად ლიტერატურაში;
- სასურველია სტუდენტთა მხარდამჭერის ისეთი მექანიზმების ამოქმედება, როგორიცაა შიდა გრანტები, სტუდენტთა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის სტიმულირება;
- სასურველია სტუდენტებში ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის განხორციელდეს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობებს, მათ შორის, საჯარო ლექციები, დისკუსია/დებატები, სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები და სხვ. ორგანიზება;
- სასურველია უფრო მეტი დარგობრივი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან, პრაქტიკის განსახორციელებლად;
- პრაქტიკის არსებული მოდელის გაძლიერება და სტუდენტებისთვის დამატებითი მოტივაციის და შესაძლებლობის შექმნა მათ მიერ პრაქტიკის კომპონენტის განასახორციელებლად;

- სასურველია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებთან გაიწეროს შესაბამისი შეფასების ქულები;
- სასურველია დეტალურად გაიწეროს სტუდენტების მიერ გამოცდების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმები;
- სასურველია დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობის შესახებ ინფორმაცია სასწავლო კურსების სილაბუსებშიც აისახოს. ასევე, უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული პორტალი ,,სტადლაბის'' ტექნიკური გამართულობა;
- სასურველია საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება;
- სასურველია კარიერის მართვის სამსახურის/კარიერული სამსახურის ფუნქციის შემთავსებელი სტრუქტურული ერთეულების როლის გაძლიერება, აქტიური კომუნიკაცია სტუდენტებთან და სტუდენტების ცნობიერების ამაღლება ერთეულის მოვალეობების, ფუნქციების და ამ სერვისის შესახებ;
- სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს და კიდევ უფრო გააძლიეროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა და მხარდაჭერისაკენ მიმართული ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- სასურველია მოხდეს წვდომის აღდგენა საერთაშორისო ელექტრონულ სა-ბიბლიოთეკო ბაზებთან, რაც უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი მექანიზმია სტუდენებისა თუ პროფესორ-მასწავლებელების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის თვალსაზრისით;
- სასურველია, რომ პროგრამის ბიუჯეტში გამოინახოს შესაბამისი რესურსი ახალი სასწავლო სახელმძღვანელოების, მთარგმნელობითი საქმიანობის სტიმულირების კუთხით;
- სასურველია გაუმჯობესდეს პროგრამის განმახორციელებელთა კონსულტირების ხარისხი, განსაკუთრებით პროგრამის კომპონენტის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- მიზანშეწონილია, უკვე მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, გადაიხედოს სამიზნე ნიშნულების რიცხობრივი მაჩვენებლები;
- სასურველია ამოქმედდეს უცხოელი ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასების მექანიზმი, რო-მელიც თავად დაწესებულებამ დაადგინა დოკუმენტში „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“;
- სასურველია გააქტიურდეს მუშაობა დღეისათვის აქტუალური (2012 წელს გაცემული) რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით;
- სასურველია გაიზარდოს გარე შემფასებელთა რიცხვი, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ვალიდურობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეოთხე საკითხი: შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.06.2017 გადაწყვეტილება N 32
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფარმაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0916 - ფარმაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	244
14	განხორციელების ადგილი	ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №31, ყოფილი ჩოლოყაშვილის 53, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი რომელსაც დაევალა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება, მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2021 წლის 5 ოქტომბრის წერილით წარმოდგენილი „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით გაცემული რეკომენდაციების შესრულების ხარისხის შეფასება. ცენტრის მიერ. შესაბამისი დოკუმენტაცია და ინსტრუქციები გადმოგვეგზავნა ექსპერტებს, ასევე უსდ-დან გამოთხოვილი იქნა დამატებითი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაწესებულების არგუმენტირებული პაასუხი შესწავლილი იქნა ექსპერტთა მიერ და ასახულია წინამდებარე დასკვნაში.
ახალ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შესაბამისობის მიზნით ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გაცემული იქნა 3 რეკომენდაცია და რჩევები. აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა 2 რეკომენდაცია და 1 რეკომენდაცია გადატანილი იქნა რჩევებში. დაწესებულებამ ორივე რეკომენდაცია შეასრულა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადახედილი იქნეს სილაბუსები და ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზები;
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი კვლევის მეთოდები სემესტრით მაინც უსწრებდეს საბაკალავრო ნაშრომს, რამდენადაც ის ლოგიკურად უნდა წარმოადგენდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წინაპირობას;
3. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტების ქულები გაიწეროს გრადაციებად 0-დან ზემოთ და გაკეთდეს მითითება რომ შეფასება ერთჯერადია მე-3 ბრძანება მუხლი 4, პუნქტი 8-ის შესაბამისად;
4. პროგრამისა და სილაბუსების შეფასების ნაწილში ჩანაწერი: დასკვნით გამოცდასა დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.“ მოვიდეს შესაბამისობაში მე-3 ბრძანებასთან კერძოდ მე-4 მუხლის მე-10, პუნქტთან და უნდა ჩაიწეროს: „საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ“.

5. რეკომენდირებული სწავლის შედეგების გაწერა ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისი ზმნებით, რათა სწავლის შედეგები გახდეს გაზომვადიწინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები ინსტიტუციის მიერ სრულად იქნა გაზიარებული.
რაც შეეხება შეფასების ნაწილს, აღნიშნული სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, და ამასთან დაკავშირებით არ ფიქსირდება ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აღნიშნა, რომ წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით ,,კვლევის მეთოდები“ გათვალისწინებულია სწავლების მე-5 სემესტრში, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის მე-8, თუმცა საკითხთან დაკავშირებით განსაზღვრულია რეკომენდაცია, შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ მისთვის წარდგენილ დოკუმენტაციაში კვლევის მეთოდები მოცემული იყო სწავლების მე-8 სემესტრში, რის გამოც პროგრამა 240 კრედიტის ნაცვალდ წარმოდგენილი იყო 244 კრედიტით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მე-5 სემესტრში მოცემულია ანალიზის ინსტრუმენტის მეთოდები და სხვადასხვა საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:23
დასრულების დრო: 17:45

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.2 და 2.6 კომპონენტებში ასახული რეკომენდაციები გადავიდა რჩევების ნაწილში, შედეგად ეს კომპონენტები შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად, მე-2 სტანდარტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაცია და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია ცოდნა-გაცნობირების კომპეტენციის ნაწილში სწავლის შედეგების გაწერა მოხდეს გაზომვადი ზმნებით.

რჩევები:

- სასურველია სასწავლო კურსი პრაქტიკა ფარმაციაში ფარმაცევტული ანალიზი სემესტრით მაინც უსწრებდეს საბაკალავრო ნაშრომს, რამდენადაც ის ლოგიკურად უნდა წარმოადგენდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წინაპირობას;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით შესაძლებელია რიგი არჩევითი კურსების შეთავაზება ალტერნატივის სახით ქართულ კურსებთან ერთად უცხო ენაზეც. გაგრძელდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე ზრუნვა;
- სასურველია გაიზარდოს ფარმაციის დარგთან დაკავშირებული არჩევითი კურსები, მათ შორის ,,ფარმაცევტული ზრუნვა". ვინაიდან ეს კურსი მოთხოვნადია წამყვანი ევროპული ფარმაცევტული სკოლების კურიკულუმებში;
- აკადემიურმა პერსონალმა იზრუნოს სტუდენტების უფრო მეტად ჩართვაზე კვლევებში და შესაბამისად გაიზარდოს სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები;
- სასურველია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტების ქულები გაიწეროს გრადაციებად 0-დან ზემოთ;
- სასურველია რიგი სილაბუსების შეფასების ნაწილში გასწორდეს ჩანაწერი: დასკვნით გამოცდასა დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა" და მოვიდეს შესაბამისობაში მე-3 ბრძანებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

მეხუთე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.06.2021 გადაწყვეტილება N 544217
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის 8, 14, თბილისი, კორპუსი VI, IV, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა - ელენე ჟურავლოვამ.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ილიას სახელობის უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2021 წლის 9 ივნისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 2021 წლის 9 დეკემბერი. დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით ვადის დაცვით აქვს წარმოდგენილი. ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ საბჭოს რეკომენდაციების შესწავლის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო პროგრამის მიმართ დადგენილი რეკომენდაციები. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტის მიერ საბჭოს რეკომენდაციების მეტწილად შესრულდა.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ დაემატოს დაშვების წინაპირობები, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან;
2. შეიცვალოს სემესტრულ სარეკომენდაციო გეგმის VII და VIII სემესტრის ჩანაწერი: კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტიანი. დაზუსტდეს შემდეგი რედაქციით: კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტი;
3. სასწავლო კურსებში „ლიტერატურული მეხსიერება“, „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“, „გერმანულენოვანი ლიტერატურა“, „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“ სწავლის შედეგები გაიწეროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად;
4. სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
5. სასწავლო კურსში „სტრატიგრაფიისა და გეოქრონოლოგიის საფუძვლები“ საველე სამუშაო შეიცვალოს პრაქტიკულით და გაიწეროს მისი თემატიკა;
6. იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ინტეგრირებულია პრაქტიკები, გაიზარდოს პრაქტიკის საათების რაოდენობა;
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“ და „დედამიწის ქერქის ქანები“ გაიზარდოს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების საათების რაოდენობა;
8. რეკომენდირებულია დამსაქმებლებთან/პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების/ ხელშეკრულებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს პრაქტიკის მიზანს/ებს, პრაქტიკის ხანგძლივობას და სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას;
9. სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო დეტალიზებული და გამჭვირვალე გახდეს;
10. სილაბუსებში მკაფიოდ გაიწეროს მიმდინარე შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები;

11. რეკომენდირებულია პროგრამის სილაბუსებში აისახოს რა ვადაში შეუძლია სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლა FX-ის მიღების შემთხვევაში;
12. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სულ წარმოდგენილი იყო 12 რეკომენდაცია, საიდანაც ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა სასწავლო კურსებს მინებდა და შედეგებს გასწორებულია.
რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, აღნიშნული შესრულებულია ნაწილობრივ, კერძოდ სასწავლო კურსში „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“ ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებული იყო პრაქტიკული მეცადინეობის საათების (4 საათი) გაზრდა, რადგან პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის (მიკროსკოპთან მუშაობა) მცირე დროა. ანგარიშით წარმოდგენილ სილაბუსში პრაქტიკული მეცადინეობის საათები გაზრდილია (8 სააათი), მაგრამ არ ჩანს რომელი აქტივობის ხარჯზე, საჭიროა ამ ხარვეზის გასწორება. სასწავლო კურსში „დედამიწის ქერქის ქანები“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდირებული იყო ლაბორატორიული სამუშაოებისთვის გამოყოფილი საათების გაზრდა, რადგან დედამიწის ამგები ყველა ტიპის ქანის (მაგმური, დანალექი და მეტამორფული) შესწავლისთვის როგორც ვიზუალურად, ასევე მიკროსკოპის გამოყენებით არაა საკმარისი. ანგარიშით წარმოდგენილ სილაბუსში საათების გაიზარდა არა ლაბორატორიული სამუშაოებისთვის, არამედ მხოლოდ საველე პრაქტიკაში (რაც ასევე მითითებული იყო რეკომენდაციებში). საჭიროა გასწორდეს ხარვეზი და საათები გაიზარდოს ლაბორატორიულ სამუშაოებშიც.
მე-8 რეკომენდაციას ასევე შესრულებულია ნაწილობრივ, კერძოდ თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მემორანდუმების დანართები, გაფორმებული შპს „გამა კონსალტინგთან“, შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული სისტემების საკონსულტაციო ცენტრ გეოგრაფიკთან“ და შპს „ტერაგრაფიკთან“, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტების გავლის შესაძლებლობას და მითითებულია სტუდენტთა რაოდენობა. დანართებში არაა მითითებული პრაქტიკის ხანგრძლივობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის პრაქტიკა არის ოდნავ განსხვავებული სტილის, დაწესებულებამ არჩია გაზარდოს არა პრაქტიკა, არამედ პრაქტიკის დროს გარკვეული საათები, რომლებიც ხმარდება, მაგალითად გარკვეული წერითი სამუშაოს შესრულებას, რაიმეს აღწერას, ანუ ისეთ საკითხს რაც შეიძლება გაკეთდეს პრაქტიკის დროს, შესაბამისად პროგრამის ფარგლებში გაიზარდა პრაქტიკული საათების და არა პრაქტიკის რაოდენობა.
რაც შეეხება მემორანდუმებს, მოცემულ პროგრამას ცალკე არ გააჩნია საწარმოო პრაქტიკა, შესაბამისად, არ ხდება სტუდენტების გარე ორგანიზაციებში გაგზავნა. აღნიშნულში იგულისხმება ის ორგანიზაციები, რომელთა ჩართულობითაც და რომელთა ბაზაზეც ხორციელდება კვლევა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:03 სთ
დასრულების დრო: 18:11 სთ

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა
18:15სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა